

საქართველოს კანონი

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999 წელი, მუხ. 49) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო – საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის რეგულირების მიზნით შექმნილი სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულება;“;

ა.ბ) „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია (სარგებლობის ლიცენზია) – ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფოს სახელით გაცემული იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფართობზე ინვესტორის მიერ ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების ან მოპოვების საქმიანობის უფლებას;“;

ა.გ) „ა.მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.მ) სამინისტრო – საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;“

ბ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ნ“ ქვეპუნქტი:

„ა.ნ) მინისტრი – საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი.“.

გ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) ლაბორატორია – საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ მოქმედი დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია, განახორციელოს ნედლეულის ან ნავთობგაზპროდუქტების გამოცდა (საქმიანობის

ლიცენზიის მფლობელის ან ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს მიერ შექმნილი ლაბორატორიის ჩათვლით);“;

ბ.ბ) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ტრანსპორტირების ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია (საქმიანობის ლიცენზია) – ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის უფლებას, განახორციელოს ნავთობის გადამუშავება, ბუნებრივი გაზის დამუშავება, ნავთობის ტრანსპორტირება ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება;“;

ბ.გ) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) საქმიანობის/სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი – პირი, რომელზედაც ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია საქმიანობის/სარგებლობის ლიცენზია;“;

ბ.დ) „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქცია:

„ს) განმცხადებელი – პირი, რომელიც ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს წარუდგენს განაცხადს ლიცენზიის მიღების მიზნით;“.

2. მე-3 მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების, ზედამხედველობისა და კონტროლის უწყისი სამართლებრივი ბაზის შექმნა;“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს შექმნა და მისი ძირითადი ფუნქციების განსაზღვრა.“.

3. II თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

## „თავი II

ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების,  
გაზის  
დამუშავების ან/და ტრანსპორტირების სახელმწიფო მართვა  
და  
რეგულირება“

4. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ნავთობისა და გაზის რესურსების სახელმწიფო მართვა

1. ნავთობისა და გაზის სფეროს სახელმწიფო მართვის ორგანოა სამინისტრო.

2. ნავთობისა და გაზის სფეროში სამინისტროს ძირითადი ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონით, მოქმედი კანონმდებლობითა და სამინისტროს დებულებით.

5. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. ნავთობისა და გაზის რესურსების რეგულირება

1. საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის გადამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომელიც იქმნება ამ კანონისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

3. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

4. სააგენტოს უფროსის მოქმედების შეზღუდვის, თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და ეკონომიკური დეკლარირების წესები განისაზღვრება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

5. სააგენტოს უფროსის უფლებამოსილება განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და სააგენტოს დებულებით. სააგენტოს დებულებას, სტრუქტურასა და საქმისწარმოების წესს ამტკიცებს მინისტრი.

6. სააგენტოს უფროსი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას.

7. სააგენტოს უფროსის მოადგილეს (მოადგილეებს), თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი მინისტრთან შეთანხმებით.

8. სააგენტოს უფროსი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნოს და გაათავისუფლოს სააგენტოს თანამშრომლები.

9. სააგენტოს უფროსის, მისი მოადგილის (მოადგილეების) და სააგენტოს თანამშრომლების შრომით ურთიერთობებზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.“.

6. 8<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

7. 8<sup>2</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8<sup>2</sup>. სააგენტოს ბიუჯეტი

1. სააგენტოს დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. სააგენტოს ხარჯთაღრიცხვას სააგენტოს უფროსის წარდგინებით ამტკიცებს მინისტრი სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად.

3. სააგენტოს ფუნქციების განხორციელების პროცესში მიღებული ყველა შემოსავალი ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“.

8. 8<sup>3</sup>-8<sup>7</sup> მუხლები ამოღებულ იქნეს.

9. 25<sup>3</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შესაძლებლობას აძლევს ტრანსპორტირების კომპანიას, აინაზღაუროს ეკონომიკურად გამართლებული ყველა ხარჯი, მათ შორის, შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად გაწეული ხარჯები.“.

10. 25<sup>4</sup> მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ტარიფი ძალაში შედის სააგენტოს მიერ სატარიფო განაცხადის მიღებიდან 120 დღის შემდეგ, თუ იგი აკმაყოფილებს სატარიფო განაცხადზე სააგენტოს მოთხოვნას.“.

მუხლი 2.

„1. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო რეორგანიზებული იქნეს

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოდ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესრულება უზრუნველყოს საქართველოს მთავრობამ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს ამოქმედებასთან დაკავშირებით „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტში წარდგენა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობამ.

4. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცებამდე და უფროსის დანიშვნამდე ამ სააგენტოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელმა სახელმწიფო სააგენტომ.

5. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები (გარდა რეგულირების საფასურთან დაკავშირებით გამოცემული აქტების) ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას. მათში ცვლილებების განხორციელების ან მათი გაუქმების უფლება ენიჭება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოს.

6. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ნავთობისა და გაზის ეროვნულმა სააგენტომ ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს მისთვის მინიჭებული ფუნქციების განსახორციელებლად საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი